ოქმი:**ო03. 3723020001**

თარიღი:**20/01/2023**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2023 წელი, 17 იანვარი

ქ.ოზურგეთი

11.00 -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ბ. მელუა, ს. ქარცივაძე, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, მ. ვაშალომიძე, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

4. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“,

აღნიშნა, რომ საკითხი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე და შენიშვნები საკრებულოში არ შემოსულა. ვრცლად კი მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, მოხსენების მოსმენის შემდეგ განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა ს. ქარცივაძემ დასვა შეკითხვა- მუნიციპალიტეტში აღრიცხულია თუ არა შ.შ.მ. პირები მათი ინდივიდუალური საჭიროებებით? განუმარტეს, რომ აღრიცხულია.

კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა პროექტის წარდგენას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ ესაუბრა მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ პროექტზე-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, აღნიშნა, რომ იგი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, მასთან დაკავშირებით შენიშვნები საკრებულოში არ შემოსულა, კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა პროექტის წარდგენას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული დადგენილების პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ -განაცხადა, რომ პროექტი შემოსულია საკრებულოს 2022 წლის დადგენილების შესაბამისად, ცვლილებების გარეშე, ამდენად იგი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით. სხდომის თავმჯდომარის ამ წინადადებას კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული 2023 წლის სამუშაო გეგმის პროექტი, კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა პროექტის წარდგენას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში შეტანილი N1,2,3 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. N4 საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი